№ 92 13 მაისი, შაბათი 1866–1878 13 მაისი, შაბათი № 92

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარა [illegible]

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## რედაქციისაგან

ამ უკანასკნელ დროს კიდევ გვესმის სხვა-და-სხვა მხრიდამ ჩვენი ხელის-მომწერლების საჩივარი, რომ გაზეთი თავის დროზე და უკლებლივ არ მოგვდისო.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ:

ა) გაზეთი როგორც ადრე, ახლაც ყველას თავის დროზე ეგზავნება რედაქციიდამ. ფოთი-ტფილისის რკინის გზის სტანციებში, ახალციხეს, ახალქალაქს, ერევანში, არტაანში და ალექსანდრაპოლს, აგრეთვე ოზურგეთში, ონპირში და რუსეთში გაზეთი იგზავნება იმავე დღეს, დილის შვიდ საათზე, რა დღესაც ტფილისში იბეჭდება; მაშასადამე რკინის გზის სტანციებზე მაინც გაზეთი ხელის-მომწერლებმა უეჭველად იმ დღესვე უნდა მიიღონ. კახეთისაკენ გაზეთი იგზავნება სამშაბათობითა და შაბათობით, რადგან ფოჩტა იქითკენ მხოლოთ ამ დღეებში მიდის. ზუგდიდში, სოხუმში და ოქუმს ფოჩტა ორშაბათობითა და ხუთშაბათობით მიდის; ბაქოში და ელისავეტოპოლში კი ორშაბათ—პარასკეობით და ჩვენს გაზეთსაც მაშინ ვგზავნით.

ბ) უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთი ან თავის დროზე არ მიუვათ და ან რომელიმე ნომერი დააკლდებათ, ადგილობრივ ფოჩტის კანტორას მოსთხოვონ მოწმობა, რომ ესა-და-ეს ნომერი გაზეთისა ამა-და-ამ დღეს მივიღე ან სულ არ მიმიღია-თქო (ფოჩტა ვალდებულია ამისთანა მოწმობა მისცეს) და ეს მოწმობა გამოგზავნონ რედაქციაში; ჩვენ წარუდგენთ იმას უმაღლესს ფოჩტის მთავრობას და საჩივარს გავაცხადებთ.

გ) სთხოვონ ხელის-მომწერლებმა ფოჩტის კანტორის უფროსებს, რომ იმათი ნომრები გარეშე პირს არავის მისცენ.

ამ ნაირი საშუალებით იქნება მოისპოს ეს უწესოება, რომელიც ჰსუფევს ჩვენს ფოჩტაში.

ვისაც ამის შემდეგ კიდევ დააკლდება ნომრები, ვთხოვთ გვაცნობონ და მაგიერს გამოუგზავნით, თუმცა ჩვენ არავითარი ბრალი არა გვაქვს ამ ნომრების დაგვიანებასა და დაკარგვაში.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 9 მაისს. ჩორაგანის სასახლის წინ ხალხის არეულობა და უწესობა მოხდა; 25 კაცი მოჰკლეს ხალხისაგან, ოც-და-ხუთიც სალდათია მოკლული. გადამდგარმა ხონთქარმა მურადმა გამოაცხადა, რომ ამ არეულობაში იმას არივითარი მონაწილეობა არა აქვს. ამ საქმის შესახებ გამოძიება არის დანიშნული და რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. ზღვის მინისტრი გადააყენეს გადაყენებულის მაგივრად მესსინ-ფაშა დანიშნეს.

**ლონდონი**, 10 მაისს. გლადსტონმა წარმოსთქვა საზოგადოებათა პალატაში ენერგიული სიტყვა, რომელშიაც გაჰკიცხა ახლანდელი სამინისტროს მოქმედება და სთქვა, რომ სამინისტრო არღვევს სახელმწიფო კანონებს და ხალხის თავისუფლებას ეხებაო.

ამბობენ, რომ კონგრესი ივნისში შეიკრიბება.

**ვენა**, 10 მაისს. „Polit. Corresp."-ში დაბეჭდილია: ომალეთი აბრალებს ჩერნოგორიის მთავარს ნიკოლოზს, რომ ის ალბანიის თავდასხმას ემზადებაო.

**ლონდონი**, 10 მაისს. გრაფი შუვალოვი მოვიდა ლონდონში. დღეს იყო კრება მინისტრებისა.

**პეტერბურღი**, 11 მაისს. ეს-არის მოვიდა აქ სპარსეთის შაჰი, მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი თავისის ავგუსტოესის ოჯახით, ღენერლებით და უთვალავი ხალხი. სახლები და მაღაზიები ბაირაღებით არის შემკობილი; ხვალ ჯარის დახედვაა (პარადი).

**ლონდონი**, 11 მაისს. რუსის ელჩს შუვალოვს ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრთან მარკიზ სალსბერისთან ჰქონდა მოლაპარაკება.

**სტამბოლი**, 11 მაისს. ბრიტანიის ფლოტი იზმიდის ნავსადგურში დაბრუნდა.

პორტის შენობა დაიწვა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 12 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

| | მან. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|
| ლონდონი— | 23 | 56 | | |
| ამსტერდამი— | 119— | 50 | „ | „ |
| ჰამბურგი— — | 200 | 50 | „ | „ |
| პარიჟი — — | 247— | „ | „ | „ |

შინაგანი: 5% სესხის ბილეთები

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 230—50 |
| მეორე სესხის — — — | 224—75 |

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 97—75 |
| მეორესი — — — — | 95—12 |
| მესამესი — — — — | 95—25 |
| მეოთხესი — — — — | 95 25 |
| აღმოსავლეთის — — | 94—75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— | 8—40 |

## საქართველო

### დღიური

*** კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის ცირკულიარში დაბეჭდილია, რომ ამ წლის 1-ს ენკენისთვიდამ ტფილისის წმ. ნინოს ქალების სასწავლებელში მეხუთე კლასიდამ დაიწყება სწავლა იმ საგნებისა, რომელნიც საჭირონი არიან სტენოგრაფიის, ბუხგალტერიისა და ტელეგრაფის შესასწავლად. ამ საგნებიდამ ეგზამენს ტფილისის საქალებო გიმნაზიის მასწავლებლები დაატერინებენ წმ. ნინოს სასწავლებელში კურსს-შესრულებულ ქალებსა.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ჩინებული განკარგულებაა.

დღემდის ჩვენს საქალებო სასწავლებელში კურსს-შესრულებულ ღარიბ ქალებს, თუ იმ წამსვე არ გათხოვდებოდნენ, ერთი საშუალება ჰქონდათ თავის დარჩენისა: რომ მასწავლებლად, გუვერნანკად დამდგარიყვნენ.

დღეის შემდეგ კი წმ. ნინოს ზავედენიაში კურს-შესრულებულ ქალებს სამი სხვა გზა ეხსნებად: იმათ შეუძლიანთ ტელეგრაფისტკად შევიდნენ, სტენოგრაფიით შეიძინონ ლუკმა-პური და რომელსამე სავაჭრო კანტორაში ანუ ბანკში იშოვნონ ადგილი.

*** რამდენიმე პირი, მოყვარენი ქართულის მწერლობისა გვკითხავენ ჩვენ, ამ დღეებში „დროებაში" დაბეჭდილის აკაკის ლექსის გამო—თუ სად არის, რას აკეთებს და რატომ უფრო ხშირად აღარ სწერს ეს ჩვენი ნიჭიერი მწერალიო.

რადგან იმდენი დრო არა გვაქვს, რომ კერძო წერილებით დავაკმაყოფილოთ ყველა ამ გვარ პირების ცნობისმოყვარეობა, ამიტომ აქვე ვაცხადებთ, რომ უფ. აკაკი წერეთელი ამ ჟამად, თავის კერძო საქმეების გამო, პეტერ-

ბურღში იმყოფება და ამ მოკლე ხანში კავკასიაში დაბრუნებას აპირებს.

ამასთანავე სიამოვნებით ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებსა და საზოგადოთ ქართული მწერლობის მოყვარეთ, რომ ამ უკანასკნელ დროს უფ. აკაკის რამდენიმე ახალი ლექსი, ორი მოთხრობა და ერთიც ისტორიული დრამა დაუწერია.

იმედი გვაქვს, რომ ეს ახალი ნაწერები უფ. აკაკისა, ზოგიერთები მაინც, წავაკითხოთ „დროების“ მკითხველებსა.

⁂ რუსულ გაზეთებში გამოცხადებულია, რომ სახელმწიფო რჩევას გადაუწყვეტია ციმბირში უნივერსიტეტის გახსნა. ეს უნივერსიტეტი დაარსებული იქნება ქალაქს ტომსკში; ამ-თავითვე იქმნება იმაში ოთხი ფაკულტეტი: ბუნებით მეცნიერების, ფილოლოგიის, იურიდიული და მედიცინის.

ციმბირში კი გაიხსნა უნივერსიტეტი, მაგრამ ჩვენ როსლა ვეღირსებით!.

⁂ მსვე გაზეთები გვაცნობებენ, რომ პეტერბურღის ქალაქის რჩევის ზალაში მცირე აზიის გმირებს: გრაფ ლორის-მელიქოვს, ტერ-ღუკასოვს, შკოკჩისა და ბულმერინგს საზოგადო სადილის გამართვას უპირებენო.

⁂ ზემო-იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელი ერთი თვის განმავალობაში ჩვენსკენ თითქმის გაუწყნარებლივ სწვიმსო და ამის გამო სოფლის ნამუშავარს დიდს ზარალს ეძლევაო. .

## „დროების“ კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთი, 5 მაისს. თქვენს მტერს გაუჭირდა ისე საქმე, როგორც ეხლა შორაპნის ნახევარი უეზდის მცხოვრებლებს საქმე ჰქონდეს გაჭირებული. ეს ერთი თვე მიდის, იბარებენ ხალხს, დღე ისე არ გადის, ას კაცამდინ არ დაიბარონ, მოდიან, ვინ იცის საიდამ, ამისთანა მუშაობის დროს, და ეუბნებიან: საქმის გარჩევა არ იქნება, მერე დაგიბარებთო. შეიქნება ერთი ყაყანი მათ შორის და ხმაურობა. ხშირათ გაიგონებთ: „ეს რას გავს? ნუთუ არავინ არ ყავს უმფროსები მიროვი სუდიას, რომ ასე არ აწვალებინონ ხალხი? ეს დალოცვილი რას გვათრევს ტყუილა-უბრალოთ? რაღათ გვიბარებს, თუ საქმის გარჩევა ეზარება? რაზე გვღუპავს და მუშაობას გვაცდენს ამისთანა დროს? ეს არის ჩქარი სამართალი?“

რამდენ ამისთანა გულზე გასახეთქ სიტყვებს გაიგონებთ კიდევ მათგან!... ზასაკვირველია, კაცი არ იყოს ავათ, ჯამაგირს იღებდეს და საქმეს არ აკეთებდეს — გაგიგონიათ? რაღაცა უბედურებაა მართლა: ამისთანა ზარმაცობა. . . . . .

საქმე მრავლდება სასამართლოში და ყოველ კაცს უბრკოლდება. ამის მიზეზს სხვა ნაირათ ხსნიან, მაგრამ მე რომ მკითხოთ, სულ სხვანაირად აგიხსნით: ჩემი სოფლიური ჭკუით, აი რისგან წარმოსდგება: ეს — უბედური ზარმაცობა საქმეების წარმოებაში და მუშაობაში, და საშინელი ენერგიული ცდილობა ფულების აღებაში და მის შოვნაში:

ეხლანდელ დროში მრავლდება ათას ნაირი კრუჟოკები, ვეჩერები, ბალები, სადილები და სხვანი, სადაც საღამოს რვა საათიდამ დილამდის ცუნდრუკობენ, ხტუნავენ, თამაშობენ, სმენ და კარტს თამაშობენ.

ამას ყველას ჯამაგირი არ გახვდება არ წავლენ შინ, სანამ ფეხზე დგომა და ქალებთან გამოთამაშება შეუძლიანთ. დილას წავლენ შინ და მკვდარივით ჩავგდებიან ლოგინში. სძინავთ შუადღემდისინ. მათთვის ღამე დღე არის და დღე ღამე.

საწყალი გლეხები კი ღამით მირბიან სასამართლოში; გაივლიან ოც ვერსს და ხანდისხან ორმოცსაც და, როგორც უწყებაში უწერიათ, ცხრა საათზე მიდიან სასამართლოში. ზუნებაში ამბობენ: „ვაი თუ სუდიამ შემასწროს და ამომიკითხაო! მაგრამ სად არის სუდია? სუდიას მკვდარივით სძინავს. თერთმეტ საათზე მწერლები შეიკრიბებიან. გლეხები და მთხოვნელები კითხვენ: სად არის ბატონი სუდია. სუდიას ჯერ კიდევ სძინავს. მთხოვნელებს ეს უკვირსთ. მწერლები ეუბნებიან: რა გაგიკვირდათ, რომ კიდევ სძინავს, იმან გათენებისას დაიძინა; მრთელი ღამე მას არ უძინია საქმე-

# ფელტონი

## იმედები და სიზმრები

(დასასრული)

ათას ნაირად თავად-აზნაურობის გულიდგან ამოდიოდა ეს სიხარული, და ეს ამაო მისი სიხარულის ხმა ადიოდა ზეცამდი.

რიონი ამ ხმით გაოცებული მირბოდა შავი ზღვისკენა, რომ ტელეგრამამ არ ჩამასწროს და ევროპას პირველად მე შევატყობინოვო ეს ახალი გამოჩენაო, ეს ახალი წარმოდგენაო!

ზარეთ, მშვენიერ ეზოში, დიდ ხეების ქვეშა ეს ლხინი და ამბავი რომ იყო, შიგნით მეფის სახლში ახალ-შობილი ბანკი იწვა თავგამოხვეულის აკვანში, რომელიც ძალიან ემგზავსებოდა თეთრი და შავი კენჭებით სავსე კოლოფსა.

ეს აკვანი იდგა შუა ოთახში, და არწევდა მას ნაზებიევი ძიძა.

ზადიები, ზედამხედველები, სხვა მოახლეები და მსახურები და ეგრეთვე ძიძის ნათესავები ფეხ-მოკეცილნი ისხდნენ ხალიჩებზედა ძიძის გარშემო.

ქველანი ესენი ერთის ხმითა დი სიხარულითა დამღერდნენ ამ კეთილშობილების-კეთილად ჩასახულს და ცოდვით შობილ ბანკსა, დამღერდნენ ამ შემდგომ ნანასა:

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
თავად-აზნაურთა ბანკო, იავნანიაო!
ღმერთმა დიდი რამ გვაღირსა, -იავნანინაო,
შენი თავი რომ გვაღირსა, იავნანინაო.
ზაგვიჩნდა ჯამაგირები, შენ რომ დაწესდიო,
ვის ოთხასი, ვის ორასი, ვის ას თუმდიო;
ზამორჩენაცა გვექნება, იავნანიაო,
თუ საქმესა ჩვენ დავიჭერთ ეშმაკებთანაო!
იდღეგრძელე, ჩვენო ბანკო, იავნანინაო,
შენ ჩვენო ტკბილო ნუგეშო, იავნანიაო.
ნეტავი ჩვენ, გვაცოდინა, ვინ დაგვიწუნაო,
თავად-აზნაურთა ბანკო, ჩვენო ბანკუნაო.
იმ შენმა დამწუნებელმა, იავნანინაო,
თავად-აზნაურთა მტერად თავი იჩინაო.
შენზედ ძვირსა ვინც ამბობდეს, იავნანინაო,
სჯობს რომ თავში ქვას იცემდეს, იავნანინაო
შენ ხარ ვარდი მაისისა, იავნანინაო,
მოქალაქე ვაჭრებისა, იავნანინაო.
შენ ხარ ჩვენი მარჩენელი, იავნანინაო,
სხვებთა·თვალის დამსებელი, იავნანინაო!
შენზედ სიცრუეს ამბობენ, იავნანინაო,
რაღაებსაც გიგონებენ, იავნანინაო,
რომ თავადს და აზნაურებს, იავნანინაო,
მითომ წამოუზდი შვილებს, იავნანიაო.
არა, ჩვენო კარგო ბანკო, ჩვენო ბანკუნაო,
შენ ვინა და სწავლა ვინა შენ ნამცეცუნაო!
შენი ფული გლეხის არის, იავნანინაო,
შენი მემკვიდრეც ის არის, იავნანინაო.
ანდერძი არ გეჭირვება, იავნანინაო.
თავისთავად ეს მოხდება, იავნანინაო;
ძეგლიხარ შენ საფლავისა, იავნანინაო,
თავად-აზნაურობისა, იავნანინაო!
ნანა მშობელნო-კეთილნო იავნანინაო,
იძინეთ კეთილ-შობილნო, იავნანინაო!..

და მართლაც, ამ ტკბილი ნანითა, როგორც ბანგით დალეულსა, ისე მიეძინა მთელ თავად-აზნაურობასა.

—

ო! ღმერთო ჩემო! რა ტკბილი და ღრმა ძილი იყო ეს მოწამლული ძილი! და ამ სატირელ ძილში რა ტკბილი სიზმრები ნახა თავად-აზნაურობამა!

მათ ესიზმრათ, მითომ ამ ბანკის წყალობით ვალები გაისტუმრეს, სახ-

ში იყო. მთხოვნელებს ჰგონიათ თუ სუდია საქმეს არჩევდა მრთელი ღამე და აღარაფერს აღარ ამბობენ!...

წავიდა პირველი საათი და დადგა მეორე ნაშუადღევს. სუდია მიდის სუდში თვალებ დაბერილი. კანცელარიაში შედის და ერთი საათი პაპიროსს მიირთმევს და რამოდენიმე ქაღალდს ხელს მოაწერს.

მესამე საათზე კამერაში გამოდის; ერთი საათი თხოვნების მიღებას უნდება; ერთ საქმეს გაარჩევს და დანარჩენს გადადებს მეორე დროზე და ოთხ საათზე შინ მიბრძანდება.

რათ უნდა გაგიკვირდესთ, რომ ამის შემდეგ საქმეები გამრავლდეს. ანუ სად შეუძლიან მრთელი ღამე ნახტუნებმა კაცმა თუთხმეტი საქმე გაარჩიოს?

ნეტავ როდემდის გაგრძელდება ეს დრო და მისი ასე მოქცევა?!

N. N.

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ, ოსმალეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვსო, რომ თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ომი მოხდა, ოსმალეთი 120,000 კაცს ათხოვებს ინგლისსაო.

—

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია ტრაპიზონიდამ გაგზავნილი დეპეშა, რომელშიაც იწერებიან:

„ოსმალეთის მთავრობამ შეატყობინა ქურთს იზმაილ-ფაშას, რომელიც თავის ჯარებით ამ ჟამად ერზინგიანში დგას, რომ არზრუმში დასაბრუნებლად ჯარები მზათ ჰყავდეს. როგორც ეტყობა, რუსები არზრუმის მიტოვებას აპირებენ.“

—

შტ. გ. წერეთელი გაზეთის „გოლოსის“ კორრესპონდენტი, სხვათა შორის შემდეგ ამბავს იწერება ჩურუქ-სუდამ 17 აპრილს:

„დღეს მე კიდევ ვიყავი ქობულეთში; მინდოდა მენახა კამენდანტი სულეიმან-ბეი, შემეტყო—მაძლევს დერვიშ-ფაშა ბათუმში წასვლის ნებას, თუ არა. სულეიმან-ბეიმ მითხრა, რომ დერვიშ-ფაშა უეჭველად დათანხმდება თქვენს თხოვნაზედაო.

„შემდეგ ჩვენ მიგვიპატიჟა სულეიმან ფაშამ თავის სახლში და სხვა-და-სხვა პოლიტიკურ საგნებზე დაგვიწყო საუბარი. ერთს ჩემთანა მყოფს აფიცერს პოლკოვნიკს ივანოვს არწმუნებდა ის, რომ ოსმალეთი უეჭველად რუსეთს დაუმეგობრდებაო, ინგლისს ჩვენი მოტყუილება და გაცარცვა უნდაო, არავითარი საზოგადო სარგებლობა და ინტერესი არ დაგვაკავშირებს ჩვენ ინგლისთანაო და სხვ. და სხვ.

„ამას ამბობენ აქაური ოსმალები; მაგრამ საქმით კი ცხადათ სჩანს, რომ იმათი მმართებლობა გვატყუებს: ამ ჟამად 28 ბატალიონი ჯარი ყავთ ამათ ბათუმში და ციხის-ძირზე; ამ დღეებში კიდევ ექვსი ბატალიონი მოუვიდათ და ყველა ამ ჯარებს მუდამ დღე ასწავლიან, წვრთნიან, საომრად ამზადებენ. ქალაქის ... დაცლას აპირობენ, რადგან აქ გამგრება არ მოხერხდება; მაგიერად სამების მთებზე და ციხის-ძირზე ახალი ზარბაზნები მოიტანეს და ამ ადგილებს კიდევ ამაგრებენ.

„თუ არ ჩვენთვის, მაშ ვისთვის ემზადებიან ესენი.

„ერთმა ქობულეთელმა ბეიმ დამარწმუნა მე, „ინგლისმა დაგვპირდაო, რომ ვინც რუსეთის წინაალმდეგ ბრძოლაში გახვალთ, თვეში ოთხ ლირს მოგცემთო. ჩვენებს გაეხარდათ, რასაკვირველია, და ახლა ომის გამოცხადებას მოველით, რომ თქვენკენ გამოვინადიროთ; დღემდინ თქვენ იყავით ჩვენი სტუმრებიო. და ახლა ჩვენ გეწვევითო.“

—

„პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 21 აპრილს ლონდონიდამ მიღებული:

„ინგლისის მმართებლობა მაგრად დგას იმ გადაწყვეტილებაზე, რომ არამცა-დაარამც ბათუმი არ დაანებოს რუსეთს, რადგან ამის გამო ინგლისის ინტერესებს ინდოეთში ზარალი მიეცემაო“.

—

ვენის გაზეთი „პრესსი“ გვაცნობებს:

„რუსეთმა გადაწყვეტით მოსთხოვა ოსმალეთს, რომ მოკლე ხნის განმავალობაში ბათუმიდამ და ვარნიდამ გაიყვანოს თავის ჯარები. ამბობენ, თუ ნებით არ შეასრულა ოსმალეთმა ეს

---

ლები აიშენეს, წისქვილები გაიმართეს; ესიზმრათ, მითომ შვილები სასწავლებელში მისცეს; მითომ გაიხსნა შკოლები, ღიმნაზიები და ყველა სწავლობს და აღარავინ რჩება თავად-აზნაურობაში უსწავლელი, და მის გამო არავინ ღარიბი და გაჭირებული; ესიზრმრათ, მითომ აიმსო თავად-აზნაურობა სიმდიდრითა, სწავლითა და სახელოვნობითა.

—ო! ბედნიერებავ! ამბობს იარის სატკივრისაგან გამოღვიძებული უეცრად თავად-აზნაურობა. თვალი აიხილა და ნახა, რომ სიზმარი იყო, და დაინახა, რომ ყველას ისევ ყალიონი ეჭირათ. გლეხკაცობა კი მუშაობდა და სწავლობდა.

—ნუ მაღვიძებ, ნუ, შენ ჩემო სატკივარო; ნუ დამანახებთ მზესა; ჩამოუშვით ფარდა! ნუ დამანახვებთ სინათლესა, ჭეშმარიტებასა! ნუ მეტყვით რა მტკივა, რა მაკლია, რა მეჭირება... ზესსო! ზესსო!... მომე, დამალევინე ისევ ბანგი, მომე ეგ ტკბილი საწამლავი.. მითხარი შენი ტკბილი ნანინა... იქნება კიდევ მიმეძინოს, და იქნება კიდევ ვნახო ტკბილი სიზრმები... შკოლები და შკოლებში გაზდილი შვილები.

ბანგი მოუტანეს ოქროს თასითა.

მოსვა, დალია და ისევ დაიძინა თავად-აზნაურობამა.

ძიძა ისევ აკვანს მოუჯდა.

აკვანი გამოეცვალათ.—ეს ახალი აკვანი ემზგავსებოდა ერთ დიდ უშველებელ რკინის ფულის ყუთსა.

ძიძა ამ აკვანს არწევს და ზედ დამღერის:

თუმცა ბევრი აღარ არის, იავნენიაო;
ლისტები კი ბლომათ არის, იავნანინაო...
სასახლესა აგიშენებ, იავნანინაო,
მანამ ტკბილად მე გაძინებ, იავნანინაო·
ნუ სტირ, ჩემო ბანკუნაო, იავნანინაო;
ნუ ამბობ: სწავლა მინდაო, იავნანინაო:
შენ ვინა და სწავლა ვინა, იავნანინაო?
კეთილშობილებისთვინა ვინ გაგაჩინაო?
თვალი დაუდგა თავადსა, ზედ აზნაურსაო,
იმათთვის ნუ შესწუხდები, ნუ იტკენ თავსაო!
სასახლეში დაგაყენებ, გეტყვი ნანასაო,
იავნანა, ვარდო ნანა იავნანინაო;
და იქ მოქალაქობასა, იავნინანაო,
მე გაუკეთებ ზალასა, იავნანინაო:
იქ თავადსა, აზნაურსა, იავნანინაო,
ვათამაშებ სულ ლეკურსა, იავნანინაო!
ლეკურის თამაშობაში, იავნანინაო,
ურიებსაც დავიხმარებ ტაშის კვრაშიდაო!
მსწავლულ კაცად მეც გეყოფი, ჩემო ბანკუნაო!
სწავლისთვის ნუ შესწუხდები ნურავისთვინაო.
დიდ სასახლეს აგიშენებ, ეს სჯობს შენთვინაო:
ეს საჭირო რამე იქნის შენ ძიძისთვინაო.
მაშ ნუ ჯავრობ, მოისვენე, ჩემო ბაკუნაო.
იავ ნანო, ვარდონანო, იავნანინაო!

თავად-აზნაურობას თავის ღრმა ძილში ესიზრმება: ერთი დიდი სასახლე უსწავლელობისა; შიგ დიდი ზალა-ცარიელობისა; სახელ-წოდებული თავად-აზნაურებისა, სახრავი—სხვისა...

სასახლე მშვენიერია, ჯიბე კი ცარიელია. თავად-აზნაურები დადიან შიგ ხანჯლებითა; ურიები და ვაჭრები ფულებითა; სანთლებით სასახლე განათებულია; ბრწყინვალე სტუმარს ელიან; სალხინოთ მუდამ ფულია, სასწავლებლად არაოდეს; სწავლა ეჭირება, ეუბნებიან: ფული არ არისო, დიდი სასახლის ასაშენებლად კი ფული იშოებაო... სწავლას მოესწრობიო, სასახლეს კი ვერაო...

ო! ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როდის გვექმნება გამოფხიზლება...
სულ პირფერობა, სულ ტყვილი, ტყვილი..
როდისღა ითქმის ჭეშმარიტება?!

ქუთაისი, 9 მაისს. პორტი

მოთხოვნილება, რუსეთი ძალას იხმარსო.“

—

რუსულ გაზეთს „გოლოსში“ იწერებიან:

„ამბობენ, ვითომ ჩვენს მმართებლობას ჰქონდა იმაზე მოლაპარაკება, რომ ბათუმი აღარ მოსთხოვოს ოსმალეთსაო; ხმა არის, რომ ლორის-მელიქოვიც ამ აზრის არისო.

„მაგრამ არ გვგონია, რომ ეს ამბავი მართალი იყოს: ბათუმი ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა და ის ჩვენ უნდა დაგვრჩეს. იმის მშვენიერი ნავსადგური არა თუ მარტო ეკონომიურის მხრით საჭიროა ჩვენთვის, საჭიროა სტრატეგიულის მხრითაც, რადგან აქედამ ჩინებული გზა არის ყარსამდინ, შეკვეთილამდის და ტრაპიზონამდინ. ბათუმიდამ ყარსში მიმავალი გზა არტვინზე, არდანუჯზე და არტაანზე გადის. ომის დროს ამ გზას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის.“

# განცხადებანი

ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში
ქუთაისში—ისყიდება
ქართული წიგნი

## „სამზარეულო“

შედგენილი
ქ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.
ფასი ათი შაური.

(3—1)

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.**

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ მომავალ ივნისის 1-ს, იმის თანდასწრებით იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) მეტეხის და თფილისის საპყრობილოსათვის შეშის იჯარით მიცემაზედ.

(3—3)

15 მაისს, ორშაბათს,
თფილისის საზაფხულო თეატრში
ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
„ძალად ცოლის-შერთვევინება“
კომედია მოლიერისა
და
„ტივით მოგზაურობა“
ვოდევილი ანტონოვისა

ბილეთების ყიდვა შეიძლება თეატრის კასსირს უ. პეტროვსკისთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასსაში.

შემოსავალი ამ წარმოდგენისა დანიშნულია ორი ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილისათვის.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება
„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“
კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბექათუბნის უჩეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერცვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ქუთაისში
ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

## ბატონიშვილი

ირაკლის პირველი დრო
ანუ თავდადება ქართველთა
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ექვსი შაური

## ყმაწვილ კაცს

ზედმიწევნით მცოდნეს ფრანცუზულის ენისას ჰსურს აძლიოს ამ ენის პრაქტიული და თეორიული გაკვეთილები. თუ საჭირო იქნება თანახმაა სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ქალაქში დადგეს ოჯახში. ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

## ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“
ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი
ვასილი აბაშიძისა

ისყიდება: თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ. გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია-წიგნის | 4 |
| დახურულის (სამი, მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 მაისს. | | |
| ფქვ. თ. თ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი | 1 | 50 |
| ქერი ფუთი | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | — |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | — |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 13 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 81 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, გოლც. ფუთი | 8 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 20 |
| ყავა გრეცელი, გირვ. | 7 | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიაობის თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—ქალის და ობრუხტი—კბილის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფ., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.